



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

32

ინფორმაციული ომი საქართველოს წინააღმდეგ

გიორგი თარგამაძე

ექსპერტის აზარი



2014



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

გიორგი თარგამაძე

ინფორმაციული ომი საქართველოს წინააღმდეგ

32

2014



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი
ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2014 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-7231-4

შესავალი

როგორი მონდომებითაც არ უნდა შევარბილოთ და შევარჩიოთ სიტყვები – საქართველო რუსეთთან საომარ მდგომარეობაში იმყოფება. ქვეყნის 20 პროცენტის ოკუპაცია და ანექსია ვინმესთვის შესაძლოა გაყინული კონფლიქტის დეფინიციას უფრო იმსახურებდეს, ვიდრე ცხელი ომისა... მართლაც, შეიძლება ზარბაზნები არ ქუხდნენ, ოკუპაციის ხაზთან ყაჩაღობებისა და ეთნიკური ქართველებისკენ გასროლილი კალაშნიკოვის ხმა არათუ ევროპულ დედაქალაქებამდე, თვით თბილისამდეც კი რთულად აღწევდეს, მაგრამ მაინცადამაინც ქუხილსა და ომის განსაზღვრებაზე თუ მიდგება საქმე, ქუხს და თანაც როგორ! – საკმარისია, საქართველოში თავისუფლად მაუწყებელი რუსული ტელევიზიების შინაარსობრივი მონიტორინგი ანარმოთ და თქვენ საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის კლასიკას იხილავთ. ლიბერალური დემოკრატიის მშენებელი ქვეყნისა და მისი ერთ-ერთი საკვანძო პრინციპის – ღია და შეუზღუდავი საინფორმაციო სივრცის პრიმატის – გათვალისწინებით არჩევანი რთული გასაკეთებელია: ამ მოვლენას თავისი სახელი დავარქვათ და ისე მოვიქცეთ, როგორც საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა უნდა იქცეოდეს თუ მოვიმარაგოთ „პოპკორნი“, მშვიდად განვაგრძოთ ეკრანის ყურება და დაველოდოთ, როგორ გადავიქცევით აგრესიული ინფორმაციული ომის მორიგ მსხვერპლად?!

ინფორმაციული ომის მნიშვნელობის ზრდა პოსტმოდერნულ ეპოქაში

განათლებული საზოგადოებისათვის სიახლეს აღარ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პოსტმოდერნულ მსოფლიოში ომის წარმოების კონცეფცია თვისებრივად შეიცვალა. ტრადიციული და ინდუსტრიული საზოგადოებებისგან განსხვავებით, ინფორმაციულ ეპოქაში უკვე მნიშვნელოვანია იცოდე არა მხოლოდ რაკეტების, ტანკების, ჯარისკაცების, საბრძოლო თვითმფრინავებისა და ხომალდების რაოდენობა, არამედ ფლობდე მონაცემებს მოცემულ ქვეყანაში მსოფლიო თუ ადგილობრივი მედიის სამიზნე აუდიტორიების სპეციფიკის შესახებ, მათ შორის საზოგადოებრივი განწყობებისა და საზოგადოებრივი აზრის შემქმნელების ვინაობისა და დამოკიდებულებების შესახებ.

ინფორმაციული ომი შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც შეტევების სერია მოწინააღმდეგე ქვეყნის სამოქალაქო მოსახლეო-

ბასა და სამხედრო პირებზე, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გამოყენებით, კონკრეტული პოლიტიკური და სამხედრო მიზნების მისაღწევად. მნიშვნელოვანია ინფორმაციული ომის გააზრება ფართო კონტექსტით, რომელიც თავისი შინაარსით შეიძლება „რბილი ომის“ (soft war) სახეობადაც განიხილებოდეს. ინფორმაციული ომები უაღრესად მჭიდროდ უკავშირდება ფსიქოლოგიურ ომებს, რომლის მიზანიც მოსახლეობის რწმენასა და ღირებულებათა სისტემაზე, ასევე ემოციებსა და განსჯაზე სხვადასხვა იარაღისა და მექანიზმის გამოყენებით ზემოქმედებისკენაა მიმართული. ამრიგად, ჩვენ ვსაუბრობთ საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ომებზე, რომლებიც ტრადიციული საბრძოლო მოქმედების დამატებითი კომპონენტი გახდა პოსტმოდერნულ გეოპოლიტიკაში.

ინფორმაციული ომის პარადიგმულ მაგალითად იქცა რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული ოპერაციების მთელი კომპლექსი. მიუხედავად იმისა, რომ მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა სამხედრო ძალისა და შეიარაღების ჩართვა, მოედანი წლების განმავლობაში აქტიურად მზადდებოდა ფინანსური, ეკონომიკური და ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ტექნოლოგიებისა და სუსტი და კორუმპირებული მთავრობის კომპონენტის გამოყენებით.

ჩვენთვის ტრაგიკულ მაგალითს წარმოადგენს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი, რომლის აქტიურ ფაზამდე, საბრძოლო მოქმედებების დღეებშიც და შემდეგაც, კრემლის პროპაგანდა ინტენსიურად მუშაობდა „ქართველი ფაშისტების მიერ განადგურებული ათასობით ოსის“ მითის შექმნაზე, რომელსაც თავის მხრივ მოჰყვა ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენცია და „გენოციდში“ დადანაშაულების კვალდაკვალ სეპარატისტული რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარება.

სამხედრო შეიარაღების გამოყენებით წარმოებულ საომარ მოქმედებებს თუ სავაჭრო-ეკონომიკურ სანქციებს ქვეყნისა და მოსახლეობისთვის უზარმაზარი ზარალი მოაქვს, მაგრამ კიდევ უფრო საზიანო და საშიშოა, თუკი იმ ბრძოლაში მარცხდები, რომელსაც ადამიანების გონებისა და რწმენისთვის ომი, ანუ ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ომი ჰქვია. შედეგად, რაციონალური აზროვნების დაკარგვის გამო, მტერს შეიძლება საერთოდ არ დასჭირდეს ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების განხორციელება ან მონიწილად იმდენად დეზორიენტირებული და დემორალიზებული აღმოჩნდეს, რომ მისი საბრძოლო სულისკვეთება და ქმედუნარიანობა ანგარიშშიც არ იყოს ჩასაგდები.

რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ინფორმაციული ომის მიზნები და რესურსები

კრემლის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ ინფორმაციულ ომს რამდენიმე მიზანი აქვს:

1. საქართველოს მოსახლეობის, სახელისუფლებო სტრუქტურების, არმიის დემორალიზება და დეზორიენტირება.
2. თავად რუსეთის მოსახლეობისთვის საქართველოს, როგორც ამერიკის მარიონეტის სახის შექმნა იმპერიალისტურ დასავლეთთან მებრძოლი რუსული სახელმწიფოს იდეის გამოსაკვებად.
3. საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის დეზორიენტირება, მასზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული დემოკრატიების საქართველოსადმი სოლიდარობის მუხტის შესასუსტებლად.

როგორც ინგლისურ ენაზე მაუწყებელ რუსულ მედიაზე, ასევე საქართველოს საინფორმაციო და საზოგადოებრივ სივრცეზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ამ მიზნების მისაღწევად აქტიურად და საკმაოდ ეფექტურად გამოიყენება ინფორმაციული ომის წარმოებისთვის საჭირო შესაბამისი იარაღი – ადამიანური რესურსები, საკომუნიკაციო ენა, იდეოლოგიური კონტექსტი, რომელსაც მრავალმხრივი განშტოება აქვს, ერთი შეხედვით, ირაციონალური სარწმუნოებრივი ფაქტორით დაწყებული და საკმაოდ რაციონალური – სოციალური კეთილდღეობის პერსპექტივით დამთავრებული. თუმცა მივყვით თანმიმდევრულად.

ინფორმაციული ომის წარმოების იარაღი

საერთაშორისო ორგანიზაციების (IRI, NDI) მიერ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული სოციოლოგიური კვლევებით დგინდება, რომ საქართველოში არის ერთ-ერთი ყველაზე ტელედამოკიდებული საზოგადოება (2014 წლის სექტემბრის კვლევით გამოკითხულთა 95% ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროდ ტელევიზიას ასახელებს). ამდენად, მიუხედავად ახალი მედიისა და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებისა, ტელევიზია რჩება როგორც ინფორმაციის გავრცელების ყველაზე ხელმისაწვდომ, ასევე ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ომის წარმოების ყველაზე ეფექტურ საშუალებად.

პირდაპირი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი რუსული ტელეარხები ყოველგვარი შეზღუდვისა და ტექნიკური პრობლემის გარეშე მაუწყებლობენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედი საკაბელო ქსელების მეშვეობით (ზოგან კი, მაგალითად,

ახალქალაქში, ორი რუსული არხი საეთერო სიხშირითაც უპრობლემოდ გადაიცემა). ეს იმას ნიშნავს, რომ პუტინური პროპაგანდის მთავარ სახედ ქცეული დიმიტრი კისილიოვის საკვირაო გადაცემა „Вести Недели“-ს ნახვა თბილისსა თუ მარნეულში მცხოვრებ მაყურებელს ისევე მარტივად შეუძლია, როგორც საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებისა.

თუ გავითვალისწინებთ წამყვანი რუსული არხების ტელენარმოების მასშტაბებს, შესაძლებლობებსა და ხარისხს, ასევე მწარმოებელთა პროფესიულ კვალიფიკაციას, რაც ამ შემთხვევაში, ჟურნალისტიკის ძირეული პრინციპების საწინააღმდეგოდ რეალობისგან განსხვავებული და პროპაგანდისტული დანიშნულების მასალების მომზადებაში გამოიხატება, „PTP“, „НТВ“ და სხვა არხები მნიშვნელოვან კონკურენციას უწევენ ქართულ მაუწყებლებს. ხოლო ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, ინფორმაციის მიღების უკონკურენტო წყაროს წარმოადგენენ (ალარაფერს ვამბობთ ოკუპირებულ რეგიონებზე, სადაც რუსული მაუწყებლობა უკვე წლების განმავლობაში დომინანტია). მოკლედ რომ ვთქვათ, ინფორმაციული ომის წარმოების მთავარ იარაღს – სამთავრობო კონტროლის ქვეშ მყოფ რუსულ ტელემაუწყებლებს – საქართველოს არაოკუპირებულ ტერიტორიებზეც სრული კარტლანში აქვთ მიცემული, რასაც საკმაოდ ეფექტურად იყენებენ.

თანამედროვე ომების წარმოების ამ სრულიად არაკონსპირირებული იარაღისადმი ლოიალური დამოკიდებულების გამო რუსულმა პროპაგანდისტულმა მანქანამ, კონკრეტულად კი „РИА Новости“-ს მემკვიდრე საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტომ „Россия Сегодня“-მ უფრო შორს წასვლა განიზრახა და თბილისში თავისი სტრუქტურული დანაყოფის ოფიციალური გახსნაც გადაწყვიტა, რაც სისრულეში მოიყვანა კიდევ და რადიომაუწყებლობაც დაიწყო. მართალია, საზოგადოების ნაწილის მიერ ატეხილი აჟიოტაჟის შემდეგ, რამდენიმე დღეში, მაუწყებლობა შეჩერდა, მაგრამ არა რაიმე ოფიციალური გადაწყვეტილების საფუძველზე, არამედ სრულიად გაურკვეველი ირიბი ზეწოლის შედეგად. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება ან საერთოდ ვერ აფასებს ინფორმაციულ-პროპაგანდისტულ ომს, როგორც საფრთხეს, ან თუ აფასებს, მის გასანეიტრალებლად დღემდე არ გააჩნია რაიმე ჩამოყალიბებული სტრატეგია.

ნიმანდობლივია ქართული სატელევიზიო არხების ერთ ნაწილში მკაფიოდ გამოხატული ანტიდასავლური განწყობების დომინირება, რომლის პოზიტიურ ალტერნატივადაც, უკეთეს შემთხვევაში, ნეიტრალიტეტი და უმეტესად რუსეთის გავლენის

სივრცეში ამა თუ იმ ფორმით ინტეგრირება სრულიად ღია და ფართოდ განიხილება. რა თქმა უნდა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება საქართველოში კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გარანტირებული ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულებაა და ამ ფაქტის აღნიშვნა მოქმედ ტელევიზიებში აზრის გამოხატვაზე ცენზურის დაწესების მოწოდებისთვის არ დაგვჭირვებია, მაგრამ ტენდენცია უდავოდ საგულისხმოა ორი მიზეზის გამო: 1. ფსიქოლოგიური განწყობის კუთხით – ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ საჯარო სადისკუსიო სივრცეში ოკუპანტი სახელმწიფოს მიმართ სიმპათიების გამოხატვა უაღრესად იშვიათი იყო და ამ სუბიექტის მარგინალიზაციას ინვევდა და 2. საქართველოში სატელევიზიო ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენციის პირობებში თითქმის შეუძლებელია ახალი მოთამაშეებისთვის ფინანსური რენტაბელობის მიღწევა და, როგორც წესი, საბიუჯეტო დეფიციტის შევსება სხვა ლეგალური თუ ფარული წყაროებიდან ხდება. ხოლო თუ რას უკვეთავს ის, ვინც იხდის, რთული ამოსაცნობი არაა, თუ ანტიდასავლურობის პროპაგანდის ოსტატურად ორკესტრირებულ მელოდიას კარგად დავუგდებთ ყურს.

ინფორმაციული ომის კიდევ უფრო აშკარა მაგალითს წარმოადგენს თბილისში გამომავალი, ადგილობრივი საზომით არცთუ მცირე ტირაჟიანი გაზეთების ნაწილი. დასავლური საზოგადოებისა და დასავლური ინსტიტუტების ადრე ნახსენები კრიტიკა უფერულად მოგეჩვენებათ, თუ რამდენიმე ნომრის სათაურებსა და მათში გამოყენებულ სიძულვილის ენას გაეცნობით. რუსული ინფორმაციულ-პროპაგანდისტული იარაღიდან გამომავალი დენთის სუნი ბევრ ალტერნატივას არ დაგიტოვებთ იმის მისახვედრად, თუ საბოლოო ჯამში რა მიზანს ემსახურება მედიის აღნიშნული სეგმენტი.

ეს აქტივობა მხოლოდ ტრადიციული მედიით არ შემოიფარგლება. იარაღად ასევე აქტიურად გამოიყენება ინტერნეტგვერდები, „ტროლერებისა“ და „დამოუკიდებელი“ ბლოგერების აქტიური ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ სასურველი მიმართულება მისცენ ინტერნეტსივრცეში გაჩაღებულ დისკუსიებს ქვეყნის ორიენტაციისა თუ სხვა მნიშვნელოვანი თემების შესახებ.

საზოგადოებრივი აზრის შემქმნელები

თუკი აქამდე ინფორმაციული ომის წარმოების ტექნიკურ რესურსზე გავამახვილეთ ყურადღება, ახლა დროა ვახსენოთ ის ადამიანური რესურსი, რომლის მეშვეობითაც ზემოთ ჩამოთვლილი იარაღის გამოყენებით შეტყობინების, მესიჯის, აუდიტორიამდე, საზოგადოებამდე მიტანა ხდება. ამ ფუნქციის განსახორციელებლად

შერჩეული პიროვნებები, რა თქმა უნდა, გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ იმისთვის, რომ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე მოახდინონ გავლენა: მათ უნდა იცნობდნენ, უნდა ჰქონდეთ აუდიტორიასთან ურთიერთობის საბაზისო უნარ-ჩვევები და გამოცდილება, მათ მიმართ უნდა იყოს პოზიტიური განწყობა. ამიტომაც მოულოდნელი არ იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ ეს ადამიანები ძირითადად არიან ე.წ. ინტელიგენციის (ელიტის) წარმომადგენლები – მსახიობები, რეჟისორები, მომღერლები და სხვები, რომელთათვისაც რუსული შემოქმედებითი სივრცე, ენობრივი ბარიერის თუ ფინანსური წარმატებულობის თვალსაზრისით, რბილად რომ ვთქვათ, უფრო მეტად მომხიბვლელია, ვიდრე ევროპული და ამერიკული გარემო, რომელშიც სრულიად უცხო და არაკონკურენტულად გრძნობენ თავს. რაც შეეხება ღირებულებით მომენტებს, ამ პროფესიების მქონე ადამიანები იმტომაც არიან ან იყვნენ წარმატებულნი თავიანთ სფეროებში, რომ მაღალ დონეზე ფლობენ არტისტიზმისა და ცნებებით ჟონგლიორობის პროფესიულ უნარ-ჩვევებს. ერთი სიტყვით, მთავრია პასუხი კითხვაზე – რისთვის? თორემ როგორ? – ეს ოსტატობის საკითხია.

ინფორმაციულ ომში, ამ ტიპის ელიტების გარდა, ადამიანური რესურსის თვალსაზრისით არსებობს კატეგორია გავლენიანი ჯგუფისა, რომლის ნაწილსაც პირდაპირი კომერციული ინტერესი აკავშირებს რუსულ ბაზარსა და მომხმარებელთან. ფინანსური ინტერესების მატარებელი ეს ჯგუფები განსაკუთრებით ავტორიტეტულნი არიან ადგილობრივ დონეებზე, რადგან ისინი საქართველოს უაღრესად დეფიციტურ შრომით ბაზარზე ერთ-ერთ მთავარ დამსაქმებლებს წარმოადგენენ.

ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ომის ფრონტზე მორიგი მარცხისა და ხელისუფლების და საზოგადოების წაყრუების მწარე მაგალითია სპორტის ეროვნული ნაკრებების, განსაკუთრებით კი, ქართველი გულშემატკივრების ბოლო წლების სიამაყის, ყველაზე წარმატებული რაგბის ეროვნული ნაკრების გენერალურ სპონსორად რუსული იმპერიალიზმის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოს VTB ბანკის გამოცხადება. მსოფლიო არენებზე საქართველო ამარცხებს რუსეთის ნაკრებს, მაგრამ გამარჯვებულის მკერდს რუსეთის ძლიერების სიმბოლო „ამშვენებს“?!

კომუნიკაციის ენა

ინფორმაციულ ომში იარაღთან და ადამიანურ რესურსებთან ერთად ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია კომუნიკაციის ენა. ამ მხრივ რუსეთი მნიშვნელოვან უპირატესობას ფლობს, რამდე-

ნადაც ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის ქართულის, ან უმცირესობებში – მშობლიური ენის, შემდეგ ძირითად სალაპარაკო ენას წარმოადგენს რუსული. ინგლისურენოვანი მედიარესურსებზე მოსახლეობის დიდი ნაწილის წვდომა თუნდაც ამ მიზეზის გამოა მინიმალური, რაც, თავის მხრივ, ნოყიერ ნიადაგს ქმნის დასავლური ცივილიზაციის შესახებ გამრუდებული წარმოდგენის ჩამოსაყალიბებელი პროპაგანდისთვის. რუსულ ინფორმაციულ მონსტრთან უთანასწორო დაპირისპირებაში ქართული მედია ფაქტობრივად ერთი ერთზე რჩება. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში კი, ქართული ენის არცდონის მაღალი მაჩვენებლის გამო, რუსული პროპაგანდის მანქანას კონკურენტიც კი არ ჰყავს.

ინფორმაციული ომის ნარატივები

აქ კი მივადექით ინფორმაციული ომის იმ მთავარ კომპონენტს, რომლის ცირკულირებისთვისაც იქმნება და გამოიყენება შესაბამისი იარაღები, ცნობადი ფიგურების ავტორიტეტი თუ საკომუნიკაციო არხები და ენა. ესაა შინაარსი, კონტენტი, უხემ კონტრასტებზე აგებული ნარატივების მთელი ასხმა, რომელსაც ინფორმაციული ომისა თუ ადამიანების გონებასა და განწყობაზე ნადირობის იდეოლოგიური ღერძი შეიძლება ვუწოდოთ.

საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ინტერესისა და გემოვნების მიხედვით „მენიუ“ მრავალფეროვანია:

- ერთმორწმუნე რუსეთი და მართლმადიდებლობის მტერი, სექტანტი დასავლეთი;
- ტრადიციული ღირებულებების დამცველი პუტინი და გარყვნილი ევროპა, რომელიც თვით ოჯახის ინსტიტუტსაც კი ანადგურებს;
- ღარიბი საქართველოსთვის ასე მნიშვნელოვანი, ნაცნობი და ხელმისაწვდომი რუსული ბაზარი და მკაცრი რეგულაციებისა და სტანდარტების გამო მიუწვდომელი ევროამერიკული დახლები;
- რუსეთთან ყოფნის დროს ქართული კინო და მთლიანად კულტურა ყვაოდა, ახლა კი ერთი ხეირიანი ფილმიც ვერ გადაგვიღია;
- თბილისის „დინამო“ უდიდეს წარმატებას აღწევდა, ახლა კი ქართული ფეხბურთის ხსენებისას ქართველების უმეტესობას ხასიათი უფუჭდება;

და რაც მთავარია

- ომებში განცდილი მარცხების, რეგიონალური არასტაბილურობისა და დაუცველობის შეგრძნების ფონზე ძლიერი და ლელოს ბოლომდე გამტანი პუტინი (რომელსაც, როგორც ბოლო ხანს მისი ქართველი ადეპტები ხშირად იმეორებენ, „ქართველები ძალიან უყვარს“) და უსუსური, შეშფოთებით შემოფარგლული, ფუფუნებაში მცხოვრები დასავლეთი, რომელიც რუსულ დათვთან საომარ დაპირისპირებაზე არ წავა, ისედაც ატკივებულ თავს, საქართველოს ნატოში მიღებით, კიდევ უფრო არ დაიმძიმებს.

ამ განწყობების კვალდაკვალ უკვე თავისით მოგვდის თავში ძველი ქართული თუ უცხოური გამოხატულებები: დათვი რომ მოგერევა, ბაბაია დაუძახეო, აქლემების ჭიდილში კოზაკი გაიჭყლიტაო; სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძრესო და ა.შ.

სამიზნეები

ეს ყველაფერი, რომელთაგან ზოგი საკმაოდ სახალისოა და ზოგი კი სასტიკად ტრაგიკული, საზოგადოების სხვადასხვა ფენასა და ჯგუფზეა გათვლილი, თუმცა ძირითადი სამიზნე, ზემოქმედების ობიექტი, ადგილობრივი საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილია, რომელიც საბჭოურ სისტემაში დაიბადა, გაიზარდა და, შესაბამისად, არ არის მიჩვეული მიწოდებული ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს და ადვილად ექცევა პროპაგანდისტული ზემოქმედების ქვეშ. ამავდროს მათ დიდ ნაწილს აქვს ქვეცნობიერი მზადყოფნა ამ პროპაგანდის რეალობად აღქმისა, რამდენადაც ქვეყნის დამოუკიდებლობისა და დასავლეთთან დაახლოების ურთულესი და ტკივილით სავსე 23-წლიანი მონაკვეთის გათვალისწინებით ადვილია „უზრუნველ, მშვიდობიან, სტაბილურ“, უკიდევანო საბჭოურ სივრცესა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის მქონე წარსულის მიმართ ნოსტალგიური გრძნობების გაღვივება, მით უმეტეს, წარსულში ყველაფერი უკეთესად გეჩვენება, თუნდაც იმის გამო, რომ მაშინ უფრო ახალგაზრდა იყავი.

აღსანიშნავია, რომ ინფორმაციული ომის სამიზნეებში არის ყველაზე მონყვლადი ჯგუფები ეთნიკური უმცირესობების სახით. თუ ქართულის ან ინგლისურის მცოდნეთათვის პრობლემას არ წარმოადგენს რუსული პროპაგანდის მანქანის ალტერნატიულ მედიაზე ორიენტირება, ქართული სახელმწიფო ამ ეტაპზე თითქმის არაფერს აკეთებს უმცირესობების ინფორმაციული უზრუნველყოფისთვის (თუ არ ჩავთვლით საზოგადოებრივი მაუწყებლის

მეორე არხზე 10-წუთიან საინფორმაციო გამოშვებებს სხვადასხვა ენაზე, რომელთა რეიტინგიც უკიდურესად დაბალია).

სერიოზული პრობლემაა რუსულ საინფორმაციო-პროპაგანდისტულ მანქანასთან კონკურენცია საერთაშორისო მედიაში. კრემლს აქაც კონკრეტული გეგმა აქვს, რომელიც, არცთუ ჩვენი უნებური ხელშეწყობის გარეშე, ნარმატივით ხორციელდება: 1. საქართველო-რუსეთის კონფლიქტის თემატიკის ნეიტრალიზაციის პოლიტიკა – დღის წესრიგიდან მოხსნა ან თემატურად უკანა პლანზე გადატანა; 2. პარალელურად თანმიმდევრული საინფორმაციო მუშაობა ისტორიული და თანამედროვე ფაქტების ფალსიფიკაციით, აგრესორი და პატარა ერების შემაჯინროვებელი საქართველოსა და მათი გადამრჩენელი რუსეთის მითის დასაწერგად.

რეკომენდაციები

ქვემოთ ჩამოვთვლით საჭირო გადანყვეტილებებს, რომელთა მიღება და აღსრულება საგრძნობლად შეცვლის ინფორმაციული დაპირისპირების ფრონტზე არსებულ დღევანდელ დისბალანსს:

- საჭიროა სათანადოდ შეფასდეს თანამედროვე ომების წარმოებაში ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ოპერაციების მნიშვნელობა და როლი;
- აუცილებელია ღია და დაუფარავი მსჯელობა აღნიშნულ საფრთხეებზე და ქვეყნის წინააღმდეგ მიმდინარე ინფორმაციული ომის მიმართ კრიტიკული საზოგადოებრივი აზრის მომნიჭება; გათვითცნობიერება იმისა, რომ ეს საფრთხე სრულიად რეალური და მიმდინარეა;
- სასწრაფოდ უნდა მოხდეს ამის ასახვა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასა და მისგან გამომდინარე ყველა დოკუმენტში.

ამასთან, უნდა იქნეს გამოყენებული ნეგატიურ-რეპრესიული მეთოდი:

- რუსული სახელმწიფო ტელეკომპანიებისა და სახელმწიფო მედიარესურსებთან აფელირებული საინფორმაციო საშუალებების მაუწყებლობის შეზღუდვა საქართველოს ტერიტორიაზე.

პოზიტიურ-კონსტრუქციული მეთოდები

- ეროვნულ მაუწყებლებთან აქტიური და კოორდინირებული მუშაობა, რათა მათ ეთერში მოხდეს დასავლეთზე ნეგატიურ კლიშეებად ჩამოყალიბებული მითების ჩანაცვლება რეალური

ინფორმაციითა და უბრალო ადამიანებისათვის საინტერესო და გასაგები ენითა და ფორმით მოთხრობილი ისტორიებით.

- საჭიროა რუსეთის იმპერიული პოლიტიკის საქართველოზე ზემოქმედების შედეგების კიდევ ერთხელ გააზრება, შეფასება და საზოგადოებისთვის მიწოდება. ეს უნდა იყოს არტიკულირებული არა ისტერიული და პოლიტიზირებული ადამიანების (ანგაჟირებული პოლიტიკოსების), არამედ აკადემიური საზოგადოების წარმომადგენლების მიერ, დოკუმენტური და მაღალი დამაჯერებლობის მქონე ფორმატების აქტიური გამოყენებით.
- დასავლეთთან ინტეგრაციის ეკონომიკური და სოციალური შედეგების მოკლე- და საშუალოვადიანი ეფექტების მუდმივად წარმოჩენა.
- ევროატლანტიკური ინტეგრაციის იდეისადმი საქართველოს პოლიტიკური კლასის ძირითადი ნაწილის ერთგულების დემონსტრირება.
- ქართული საზოგადოების კონსოლიდაცია იდეის და არა პოლიტიკოსების გარშემო, რაც ასევე მნიშვნელოვან ეფექტს მოახდენს საერთაშორისო ასპარეზზე, წარმოაჩენს რა ჩვენი მრავალეთნიკური და ჭრელი პოლიტიკური ორგანიზმის მქონე ერის ევროატლანტიკური ღირებულებების მიმართ სიმპათიასა და ევროკავშირსა და ნატოში განევრიანების გაუნელებელ ენთუზიაზმს.
- ქართული სახელმწიფოს იდეისადმი ერთგულების და დასავლური ღირებულებებისა და ინსტიტუტების უპირატესობის წარმოსაჩენი პერმანენტული კამპანიების წარმოება ცნობილი ადამიანების მონაწილეობით.
- ეთნიკური უმცირესობების ქართულ საინფორმაციო სივრცეში ჩართვისა და ინტეგრირების მიზნით ქართული ენის სწავლების სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ქცევა, მისი პრაქტიკული რეალიზაციის მაქსიმალური ხელშეწყობა.
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდა ყურონალისტების ინტენსიური და კვალიფიციური მომზადება, ცენტრალურ მედიასაშუალებებში სტაჟირება და მათი რესურსებისა და შესაძლებლობების აქტიური გამოყენება. ეს, ერთი მხრივ, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას აღჭურავს საჭირო, ობიექტიური და ამავე დროს არა მარტო ნეგატიური ინფორმაციით ჩვენს არცთუ მცირერიცხოვან თანამოქალაქეთა ცხოვრების წესზე, მათ პრობლემებსა თუ მიღწევებზე, რაც გაუცხოების

მასშტაბებს ეტაპობრივად შეამცირებს, მეორე მხრივ კი, ექნება არანაკლებ მნიშვნელოვანი ეფექტი – თავად ეთნიკური უმცირესობების ადგილობრივ თემებს გაუჩნდებათ მათივე ჯგუფების წარმომადგენელი ჟურნალიტიკების მიერ მათზევე მომზადებული მასალების გაცნობისა და ერთიან სახელმწიფოებრივ საინფორმაციო სივრცეში გააქტიურების მნიშვნელოვანი მოტივაცია.

- მანამდე და დაუყოვნებლივ კი აუცილებელია ეთნიკური უმცირესობების უმრავლესობისთვის ხელმისაწვდომ საკომუნიკაციო ენაზე მომუშავე მედიარესურსების ფუნქციონირების ხელშეწყობა, რათა რუსული სახელმწიფო პროპაგანდის აკრძალვის ან, მით უმეტეს, მისი ფუნქციონირების პირობებში ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდეს ალტერნატიულ, მისთვის გასაგებ ენაზე მოლაპარაკე აქტუალურ მედიაზე წვდომისა და ინფორმაციული მიმშლის დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

დასკვნა

სტატიის პირველ ნაწილში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ინფორმაციული ომის მაგალითზე ჩვენ აღვწერეთ, თუ როგორ ხდება ლიბერალური დემოკრატიისა და ღია საზოგადოების სიძლიერის გამოყენება მისსავე დასასუსტებლად და რამდენად აუცილებელია ინფორმაციული ომის დამანგრეველი ძალის აღქმა, ანალიზი და ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა.

ჩამოთვლილი ნაბიჯების გადადგმას სჭირდება რისკებით დატვირთული რეალობისა და მონინააღმდეგის უკვე მოქმედებაში მოყვანილი გეგმის სწორი და ობიექტური შეფასება; უნდა იყოს გაცხადებული პოლიტიკური ნება – დაუპირისპირდე მას არა მხოლოდ შენი სურვილით, არამედ კონსტიტუციური და ეროვნული ვალდებულებით.

საჭიროა კომპლექსური და კალენდარული გეგმა, რომლის განხორციელებაში აქტიურად იქნება ჩართული არა მარტო სახელისუფლებო, არამედ სამოქალაქო და აკადემიური რესურსი და, რა თქმა უნდა, ფინანსები, რომელიც არც იმდენად მცირეა, რომ გვეცოტაოს, მაგრამ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაინტერესებისა და ეროვნული ენთუზიაზმის გათვალისწინებით მიზერია იმასთან შედარებით, რა ზიანსაც იღებს და მომავალში მიიღებს საქართველოს სახელმწიფო და ჩვენი მომავალი, თუ ამ ინფორმაციულ შემოტევას გონივრულად, გაბედულად და ენერგიულად არ ვუპასუხეთ.